აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2019 წლების პრიორიტეტები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია, შექმნას თავისუფალი, ერთიანი, დემოკრატიული, სამართლიანი, ადამიანის განვითარებისა და საქმიანობის თავისუფლებაზე დაფუძნებული სახელმწიფოს მშენებლობაში რეგიონის სრულფასოვანი და სრულუფლებიანი მონაწილეობის წინა პირობები.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საშუალოვადიან კონცეფციას, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია მთავრობის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები:

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემოსავლების ფარგლებში საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება;

მდგრადი ეკონომიკური ზრდა და დასაქმების ხელშეწყობა;

სახელმწიფო ქონების მართვისა და განკარგვის ეფექტიანობის ამაღლება;

აჭარის საინვესტიციო პოტენციალის მარკეტინგი;

გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვა, მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროს კონტროლი და ზედამხედველობა, გარემოს ინტეგრირებული მართვის ხელშეწყობა, გეოლოგიური მონიტორინგი, საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება, გარემოს დაცვის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

ტყეების მდგრადი მართვა, ტყის მართვასთან დაკავშირებით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება, ტყის დაცვა ბუნებრივი და ანთროპოგენული ზემოქმედებისაგან და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, ტყის აღდგენა, ტყის რესურსების ეფექტიანი გამოყენება, ტყის რესურსებით სარგებლობისა და სატყეო სექტორის მართვის საკითხებთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, ხელოვნური ნაგებობების, სამელიორაციო და ჰიდროტექნოლოგიური რთული და მარტივი ნაგებობების რეაბილიტაცია, მშენებლობა და მოვლა-შენახვა.

რეგიონის ტურიზმისა და კურორტების განვითარების ხელშეწყობა, რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების გამოვლენა, ტურისტული პროდუქტების გამრავალფეროვნება და რეგიონის ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო და შიდა ბაზარზე, ურთიერთთანამშრომლობითა და ინოვატორული ინიციატივებით პარტნიორებისა და დაინტერესებული პირების დახმარებით ხარისხის სტანდარტის ამაღლება.

მოსახლეობის გაჯანსაღების და დასვენების ეფექტური პირობების უზრუნველყოფა, საკურორტო ინფრასტრუქტურის შემდგომი გაფართოება; დამსვენებელთა დასვენებისა და ტურიზმის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პირობების შექმნა;

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესება, უწყვეტი განათლების ხელშეწყობა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. სკოლის შემდგომი ფორმალური განათლების ორიენტირება შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და რეგიონის საჭიროებებზე. განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა სოციალურად დაუცველი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის. უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა;

აჭარის ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლების დაცვა-შენარჩუნება. აჭარის მუზეუმებისა და გალერეების მოდერნიზება და მართვის წესებისა და რეგულაციების შემუშავება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ფოლკლორის და ხალხური შემოქმედების ხელშეწყობა, შენარჩუნება და პოპულარიზაცია. სახვითი, გამოყენებითი და მულტიმედიური ხელოვნების ხელშეწყობა და მისი შემდგომი პოპულარიზაცია. სასცენო და სამუსიკო ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა. კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. ხელოვნების და კულტურის სფეროში პროფესიული დონის ამაღლება და კვალიფიციური კადრების მომზადება.

ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და მასობრივ სპორტში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა. პროფესიული სპორტის მხარდაჭერა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესება. სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და განვითარება.

მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების, მათ შორის სოციალურად დაუცველი კატეგორიებისათვის სახელმწიფო პროგრამების გარეთ დარჩენილი რისკების მართვა და დაფინანსება. სოფლის მოსახლეობისათვის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების მიწოდება. თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული მედდების თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და კვალიფიკაციის ამაღლება. სოფლებში საექიმო კადრების დამაგრების მიზნით მათი მატერიალურ სტიმულირება.

სოციალურად დაუცველ ფენებსა და დაავადების მაღალი რისკის ჯგუფებზე, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, დაავადებათა პრევენცია და კონტროლი, გარკვეული კატეგორიებისათვის სოციალური დახმარებების გაცემა, სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეებისათვის პროფესიული გადამზადება მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვა, ადგილობრივი პროდუქციის წარმოების კონკურენტუნარიანობის გაზრდა, ნიადაგის პროდუქტიულობის ამაღლება, ერთეული სასოფლო–სამეურნეო სავარგულის რაციონალური გამოყენება, აგრარულ სფეროში დასაქმებულთა პრაქტიკული უნარ–ჩვევებისა და ცოდნის გაფართოება.

გასული საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის საბოლოო შედეგების ანალიზი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებამ 162 463,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიურ მაჩვენებელს 11,5 პროცენტით აღემატება.

2014 წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებმა 156 705,0 ათასი ლარი შეადგინა;

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი ნაწილი მოდის გადასახადებზე, რომელიც მოიცავს მხოლოდ საშემოსავლო გადასახადს. საანგარიშგებო პერიოდის საშემოსავლო გადასახადის ფაქტიურმა შესრულებამ 143 763,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2013 წლის მაჩვენებელს აღემატება 10 012,5 ათასი ლარით, ანუ 7,5 პროცენტით. საანგარიშო პერიოდში დაუბეგრავი მინიმუმის სახით რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დაბრუნებულია 8 825,7 ათასი ლარი. აღნიშნული თანხის გათვალისწინებით წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით შემოსავლების ფაქტიური შესრულება რეალურად გაზრდილია 18 838,2 ათასი ლარით, ანუ 14,1 პროცენტით;

რესპუბლიკური ბიუჯეტის 2014 წლის სხვა შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 8 963,7 ათასი ლარით, შესრულებამ შეადგინა 10 846,3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 121,0 პროცენტი.

სახელმწიფო და უცხოეთის მთავრობისგან მიღებული გრანტების შესრულებამ შეადგინა 2 095,3 ათასი ლარი;

არაფინანსური აქტივების კლებით (აქტივების გაყიდვა) რესპუბლიკურ ბიუჯეტში ჩაირიცხა 5 758,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 110,0 პროცენტს შეადგენს;

2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები სფეროების მიხედვით

აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები, საერთო დანიშნულების მომსახურება, ვალთან დაკავშირებული ოპერაციები 15 373,4 ათასი ლარი;

ფულადი ტრანსფერები მუნიციპალიტეტებში 45 287,7 ათასი ლარი;

სახანძრო-სამაშველო სამსახური 2 042,9 ათასი ლარი;

ეკონომიკური საქმიანობა 38 538,2 ათასი ლარი, მათ შორის: სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა 6 486,7 ათასი ლარი, საავტომობილო ტრანსპორტი და გზები 25 258,8 ათასი ლარი, ეკონომიკის სხვა დარგები (ვაჭრობა, სასტუმროები, რესტორნები, ტურიზმი) 6 792,7 ათასი ლარი;

გარემოს დაცვა 1 628,3 ათასი ლარი;

საბინაო-კომუნალური მეურნეობა 2 809,3 ათასი ლარი

ჯანმრთელობის დაცვა 7 907,0 ათასი ლარი;

დასვენება, კულტურა და რელიგია 22 267,8 ათასი ლარი;

განათლება 17 751,5 ათასი ლარი;

სოციალური დაცვა 1 281,2 ათასი ლარი;

ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 1 242,1 ათასი ლარი.

მიმდინარე საბიუჯეტო წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადამუშავებული პროგნოზი

2015 წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 170 292,9 ათასი ლარის ოდენობით.

2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 147 000,0 ათას ლარს, რესპუბლიკურ ბიუჯეტში გადასახადების კუთხით ირიცხება მხოლოდ საშემოსავლო გადასახადი.

2015 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 5 819,4 ათასი ლარის ოდენობით.

2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 6 899,5 ათას ლარს.

2015 წელს არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები სახსრების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 10 574,0 ათას ლარს. აღნიშნული სახსრების მობილიზება მთლიანად განხორციელდება სახელმწიფო და რესპუბლიკური საკუთრების ქონების რეალიზაციიდან.

2015 წლის 1 იანვრისათვის არსებული ნაშთი გამოყენებული იქნა მხოლოდ 13 346,1 ათასი ლარის ოდენობით.

2015 წელს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 183 639,0 ათასი ლარის ოდენობით. ადგილობრივი შემოსავლების რაციონალურად მართვის პირობებში შესაძლებელი გახდა დაფინანსებულიყო რეგიონისათვის ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები როგორიცაა:

ტყის ფონდის ინვენტარიზაცია (ტყეთმოწყობა) 1 000,0 ათასი ლარი;

საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა 26 875,6 ათასი ლარი;

უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტების თანადაფინანსების ხარჯები 4 875,7 ათასი ლარი;

განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ღონისძიებები 10 375,6 ათასი ლარი;

უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა 2 350,0 ათასი ლარი;

ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, დასაქმებისა და დაავადებათა პრევენციის ღონისძიებები 6 350,8 ათასი ლარი;

სოფლის მეურნეობის ხელშეწყობისა და განვითარების ღონისძიებები 3 158,9 ათასი ლარი;

დასვენებისა და კულტურის ობიექტების, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა 8 534,6 ათასი ლარი;

ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების რეგულირება და პრევენცია 1 959,5 ათასი ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში სოციალური სახლების მშენებლობა და ამ კუთხით არსებული შენობების რეაბილიტაცია 3 170,0 ათასი ლარი;

საერთაშორისო სტანდარტების სტადიონისა და ქალაქ ბათუმში მრავალპროფილური საავადმყოფოს მშენებლობა 17 984,4 ათასი ლარი;

მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობა 598,0 ათასი ლარი;

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში განსახორციელებელი სოციალური და ინფრასტრუქტურული პროგრამები 31 275,0 ათასი ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2019 წლების რესპუბლიკური ბიუჯეტის მაჩვენებლები

ა) შემოსულობები:

2016 წლისათვის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 231 884,2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის შემოსავლები შეადგენს 147 725,0 ათას ლარს. საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებლის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ 2016 წლიდან საშემოსავლო გადასახადის გარკვეული სახეებიდან გადანაწილება მოხდება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტსა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ თვითმმართველობებს შორის, რომელიც დაახლოებით შეადგენს 25 250,0 ათას ლარს, მიუხედავად აღნიშნულისა რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური აქტივობიდან გამომდინარე საშემოსავლო გადასახადის მომდევნო წლის საპროგნოზო მოცულობა შესაძლებელია განისაზღვროს 140 000,0 ათასი ლარით;

2017-2019 წლის საშემოსავლო გადასახადის პროგნოზი განისაზღვრა შესაბამისად 2017 წელს 145 600,0 ათასი ლარით, 2018 წელს 151 400,0 ათასი ლარით და 2019 წლისათვის 157 500,0 ათასი ლარის ოდენობით.

ავტონომიური რესპუბლიკის შემოსავლების ზრდა განპირობებულია საქართველოში ეკონომიკური და სოციალური ფონის გაუმჯობესებით, რაც ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდას და სამეწარმეო სექტორის გააქტიურებას.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი წლების მიხედვით უმნიშვნელოდ იცვლება, ზრდის ძირითადი მიზეზია ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარის წესით გაცემა. შესაბამისად 2016 წელს სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7 725,0 ათასი ლარით, 2017 წელს 5 000,0 ათასი ლარით, 2018 წელს 5 300,0 ათასი ლარით, ხოლო 2019 წელს კი 5 800,0 ათასი ლარით. სხვა შემოსავლების სახეში ძირითადად მობილიზდება დეპოზიტებსა და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდები, რენტა, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის კუთხით მიღებული შემოსავლები, სანქციები (ჯარიმები და საურავები) და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები.

არაფინანსური აქტივების კლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2016 წლისათვის განისაზღვრა 18 000,0 ათასი ლარის ოდენობით.

ფინანსური აქტივების შემცირების კუთხით (2016 წლისათვის არსებული ნაშთის გამოყენება) იგეგმება 66 159,2 ათასი ლარის გამოყენება.

ბ) გადასახდელები:

2016 წლისათვის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 231 884,2 ათასი ლარის ოდენობით.

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო - 4 957,0 ათასი ლარი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაცია - 3 799,1 ათასი ლარი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მასთან არსებული ორგანიზაციები - 53 286,6 ათასი ლარი, მათ შორის:
  - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი - 3 545,0 ათასი ლარი;
  - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო - 4 947,7 ათასი ლარი;
  - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი - 5 823,3 ათასი ლარი;
  - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველო - 2 030,8 ათასი ლარი;
  - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი - 38 667,0 ათასი ლარი;
  - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა - 272,9 ათასი ლარი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - 18 790,2 ათასი ლარი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - 41 869,8 ათასი ლარი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - 14 057,9 ათასი ლარი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 7 500,0 ათასი ლარი;
- საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები- 85 623,4 ათასი ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014-2019 წლების რესპუბლიკური ბიუჯეტის მაჩვენებლები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მაჩვენებლები

(ათასი ლარი)

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
შემოსავლები	**156 705.0**	**159 718.9**	**147 725.0**	**150 600.0**	**156 700.0**	**163 300.0**
გადასახადები	143 763.4	147 000.0	140 000.0	145 600.0	151 400.0	157 500.0
გრანტები	2 095.3	5 819.4	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა შემოსავლები	10 846.3	6 899.5	7 725.0	5 000.0	5 300.0	5 800.0
ხარჯები	**129 309.4**	**143 161.2**	**156 189.4**	**126 748.5**	**128 605.3**	**135 154.2**
შრომის ანაზღაურება	35 789.3	35 738.2	39 191.6	36 553.0	36 553.0	36 431.8
საქონელი და მომსახურება	18 415.9	22 293.5	28 802.1	27 947.3	29 371.8	27 434.0
პროცენტი	273.4	439.2	570.0	640.0	640.0	640.0
სუბსიდიები	2 402.6	4 510.1	2 660.7	2 445.8	2 558.8	2 305.8
გრანტები (გაცემული)	45 287.7	31 275.0	52 697.4	33 757.0	34 461.1	42 757.0
სოციალური უზრუნველყოფა	6 486.4	5 897.6	7 488.6	6 469.3	6 984.5	7 549.5
სხვა ხარჯები	20 654.1	43 007.7	24 779.1	18 936.1	18 036.1	18 036.1
საოპერაციო სალდო	**27 395.6**	**16 557.7**	**-8 464.4**	**23 851.5**	**28 094.7**	**28 145.8**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**19 819.7**	**25 198.0**	**26 949.8**	**16 986.6**	**18 194.7**	**26 245.8**
ზრდა (შემენა)	25 577.9	35 772.0	44 949.8	34 936.6	36 941.6	39 051.6
კლება (გაყიდვა)	5 758.2	10 574.0	18 000.0	17 950.0	18 746.9	12 805.8
მთლიანი სალდო	**7 575.8**	**-8 640.3**	**-35 414.2**	**6 864.9**	**9 900.0**	**1 900.0**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**6 333.8**	**-11 123.2**	**-36 759.2**	**4 964.9**	**8 000.0**	**0.0**
ზრდა	6 333.8	2 222.9	29 400.0	32 100.0	8 000.0	0.0
ვალუტა, დეპოზიტები	6 333.8					
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	2 222.9	29 400.0	32 100.0	8 000.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	13 346.1	66 159.2	27 135.1	0.0	0.0
ვალუტა, დეპოზიტები		13 346.1	66 159.2	27 135.1		
სესხები						
ვალდებულებების ცვლილება	**-1 242.1**	**-2 482.9**	**-1 345.0**	**-1 900.0**	**-1 900.0**	**-1 900.0**
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები						
კლება	1 242.1	2 482.9	1 345.0	1 900.0	1 900.0	1 900.0
სესხები	1 075.0	1 671.9	1 345.0	1 900.0	1 900.0	1 900.0
სხვა კრედიტორული დავალიანებები	167.0	811.0	0.0	0.0	0.0	0.0
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

(ათასი ლარი)

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
შემოსულობები	**162 463.1**	**170 292.9**	**165 725.0**	**168 550.0**	**175 446.9**	**176 105.8**
შემოსავლები	156 705.0	159 718.9	147 725.0	150 600.0	156 700.0	163 300.0
არაფინანსური აქტივების კლება	5 758.2	10 574.0	18 000.0	17 950.0	18 746.9	12 805.8
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	**156 129.4**	**183 639.0**	**231 884.2**	**195 685.1**	**175 446.9**	**176 105.8**
ხარჯები	129 309.4	143 161.2	156 189.4	126 748.5	128 605.3	135 154.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	25 577.9	35 772.0	44 949.8	34 936.6	36 941.6	39 051.6
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	2 222.9	29 400.0	32 100.0	8 000.0	0.0
ვალდებულებების კლება	1 242.1	2 482.9	1 345.0	1 900.0	1 900.0	1 900.0
ნაშთის ცვლილება	**6 333.9**	**-13 346.1**	**-66 159.2**	**-27 135.1**	**0.0**	**0.0**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის 2016-2019 წლებში გასათვალისწინებელი ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობა

(ათასი ლარი)

#	დასახელება	დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრული მოცულობა 2016 წლისათვის	2016 წლისათვის ზღვრული მოცულობა	2017 წლისათვის ზღვრული მოცულობა	2018 წლისათვის ზღვრული მოცულობა	2019 წლისათვის ზღვრული მოცულობა
1	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	125	4,957.0	4,957.0	4,957.0	4,957.0
2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	19	3,799.1	582.5	582.5	582.5
3	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მასთან არსებული ორგანიზაციები	559	55,286.6	53,337.5	55,577.5	57,647.5
4	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	224	18,790.2	12,099.0	11,994.0	11,424.0
5	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2431	41,869.8	37,350.7	38,458.2	36,756.2
6	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	131	14,057.9	12,622.5	13,137.7	13,702.7
7	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	163	7,500.1	6,480.8	6,480.8	6,480.8